სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

იანვარი 2019

2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბერთან შედარებით, საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი 3.9%-ით შემცირდა. საქართველოს ათ რეგიონსა და თბილისს შორის სასტუმროს ფასები მხოლოდ რაჭაში გაიზარდა. თბილისში სასტუმროს ფასების კლებამ 4.2% შეადგინა. 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 2.6%-ით გაიზარდა. რეგიონებს შორის სასტუმროს ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (19.2%) და სამცხე-ჯავახეთში (6.2%) გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს უცხოელი ვიზიტორების მიერ ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისსა და ბათუმში განხორციელდა. 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, თბილისში სასტუმროს ფასები 4.6%-ით შემცირდა, მათ შორის 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასები - 4.8%-ით, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასები - 3.8%-ით. რაც შეეხება ბათუმს, 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, სასტუმროს ფასები 23%-ით გაიზარდა, მათ შორის 3*, 4* და 5* სასტუმროს ფასები - 34%-ით, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასები 0.3%-ით.

სასტუმროების საშუალო ფასები

2019 წლის იანვარში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **124 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი რეგიონებს შორის მცხეთა-მთიანეთში - 200 ლარი დაფიქსირდა.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა იანვარში **225 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი მცხეთა-მთიანეთში - 324 ლარი დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა იანვარში **481 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 600 ლარი შეადგინა, აჭარაში - 480 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 385 ლარი, ხოლო კახეთში - 285 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა იანვარში **69 ლარი** შეადგინა. ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში გურიაში - 109 ლარი დაფიქსირდა.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით, 3.9%-ით შემცირდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში (-5.4%) და შიდა ქართლში შემცირდა (-4.7%).

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბერთან შედარებით, სასტუმროს ფასები მხოლოდ რაჭაში გაიზარდა (1.3%).

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით, 3.3%-ით შემცირდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად თბილისში და მცხეთა-მთიანეთში შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები არც ერთ რეგიონში არ გაზრდილა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბერთან შედარებით, 4.5%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში და აჭარაში შემცირდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, 2019 წლის იანვარში, 2018 წლის დეკემბერთან შედარებით, ფასები მხოლოდ რაჭაში გაიზარდა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდში, 2018 წლის იანვარში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, საქართველოში სასტუმროს ფასების კლება 6.4%-ს, ხოლო თბილისში 9.9%-ს შეადგენდა. მოცემულ პერიოდში, სასტუმროების ფასები ყველაზე მეტად თბილისში და მცხეთა-მთიანეთში იყო შემცირებული. ფასების ზრდა საქართველოს მხოლოდ სამ რეგიონში დაფიქსირდა.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, 2.6%-ით გაიზარდა. მოცემულ პერიოდში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (19.2%) და სამცხე-ჯავახეთში (6.2%) გაიზარდა.

2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით სასტუმროების ფასები ექვს რეგიონში შემცირდა. თბილისში სასტუმროების ფასების კლებამ 4.6% შეადგინა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 იან/ 2018 დეკ	2019 იან/ 2018 იან	2019 იან/ 2018 დეკ	2019 იან/ 2018 იან	2019 იან/ 2018 დეკ	2019 იან/ 2018 იან
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-5.4%	-4.3%	-2.1%	6.0%	-6.6%	-9.5%
შიდა ქართლი	-4.7%	-10.6%			-4.7%	-10.6%
მცხეთა-მთიანეთი	-4.5%	5.9%	-3.5%	4.9%	-5.3%	7.0%
თბილისი	-4.2%	-4.6%	-4.0%	-4.8%	-5.0%	-3.8%
აჭარა	-3.2%	19.2%	-1.5%	34.7%	-5.5%	-1.8%
კახეთი	-2.5%	-3.3%	-3.1%	-5.2%	-2.3%	-2.7%
სამცხე-ჯავახეთი	-2.2%	6.2%	-1.9%	15.2%	-2.4%	1.5%
ქვემო ქართლი	-2.0%	-4.8%	-1.7%	3.9%	-2.3%	-15.3%
გურია	-1.7%	-6.5%	-3.0%	-11.8%	-1.1%	10.1%
იმერეთი	-1.1%	1.0%	-1.4%	-0.8%	-0.9%	2.3%
რაჭა	1.3%	3.3%			1.3%	3.3%
სულ ფასების % ცვლილება	-3.9%	2.6%	-3.3%	6.5%	-4.5%	-2.0%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის იანვარში 2018 წლის დეკემბრის ფასებთან შედარებით და 2018 წლის იანვრის ფასებთან შედარებით,

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, 6.5%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში გაიზარდა. თბილისში, 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, 3, 4 და 5* სასტუმროების ფასები 4.8%-ით შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2019 წლის იანვარში, 2018 წლის იანვართან შედარებით, 2%-ით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად ქვემო ქართლში და შიდა ქართლში შემცირდა. მოცემულ პერიოდში, თბილისში, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების კლებამ 3.8% შეადგინა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	I 2017	II 2017	III 2017	IV 2017	2017	I 2018	II 2018	III 2018	IV 2018
1	1978.3	450	544.3	642.6	569.8	2206.7	522.9	642.5	781.9	
2	6720	1378.1	1757	2969.9	1797.5	7902.5	1582.4	1979.6	3226.4	1891.1
3	3297.3	665	908.9	1629.9	865.7	4069.4	839.5	1094.2	1838.3	984.7
4	2166.3	425.7	629.9	1078.3	570.5	2704.3	550.7*	810*	1210.6*	
5	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9*	126.4*	149.9*	
6	56.1	7.1	25.1	29.7	10.3	72.2	25.5*	-6.5*	36*	

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ძერჩევა მოხდა ეშმთნვვეთი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3.სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

4 * წინასწარი მონაცემები